**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი 1877—1891


## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაწვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

პატივცემულნო ქ. ქუთაისის საზოგადოებავ!

რადგანაც ყველასთვის ცალკე წერილის მოწერა არ ძალმიძს, ამისთვის „ივერიის“ შემწეობით გიცხადებთ: ავდრის გამო იარმუკობა დაიშალა, წიგნები არ გამოუტანიათ, მეც ველარ მოვდივარ, როგორც გამოცხადებული მქონდა, და ვრჩები ოთხშაფათამდე. რასაც შევიძენ, დანიშნულებისამებრ ყველას მოგართმევთ.

თქვენი პატივის მცემელი წიგნების მსყიდველ—გამყიდველი მიხეილ პავლეს ძე გვარიშვილი

## ახალი ამბავი

*** შაბათს, ამ თთვის 14, სიონის ტაძარში მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ ეპისკოპოსმა ალექსანდრემ წირვის შემდეგ პანაშვიდი გადაიხადა მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრინას ალექსანდრა გიორგის ასულის მოსახსენებლად. პანაშვიდზე დაესწრნენ კავკასიის მთავარ-მართებელის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი გრაფი ტატიშჩევი, კორპუსის კომანდირი გენერალ-ლეიტენანტი, გენერალი კავალერიისა თავ. ზ. ჭავჭავაძე, გენერლობა და მრავალნი სხვანი.

*** მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრინას ალექსანდრა გიორგის ასულის გარდაცვალებისა გამო ტფილისში მცხოვრებელ ბერძენთა ახალშენმა მისს უდიდებულესობას საბერძნეთის მეფეს გიორგის, განსვენებულის მამას, სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა.

*** პარასკევს ტფილისიდამ მცხეთის სადგურზე გაიგზავნა სამეფო მატარებელი მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის სერგეი მიხეილის ძისთვის, რომელიც ამ დღეს კავკავიდამ მცხეთაში ჩამობრძანდა. სამეფო მატარებელი მისის უმაღლესობითურთ იმავე საღამოს მცხეთიდამ წავიდა. ხაშურში მის უმაღლესობისთვის დახურული ეტლი იყო მომზადებული ბორჯომში და შემდეგ აბასთუმანში გასამგზავრებლად, სადაც ამ ჟამად იმყოფებიან მათი იმპერატორებითი უმაღლესობანი დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე და ალექსანდრე მიხეილის ძე.

*** ჩვენ მივიღეთ მის ყოვლად უსამღვდელოესობის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისაგან 120 მანეთი—100 მანეთი დ. ბაქრაძის სახელობაზე დაარსებულ ფონდისათვის და 20 მანეთიც „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ. დ. ზ. ბაქრაძის ფონდისა აქამდე გვქონდა 1795 მ. 29 კ. ამიაანად შესდგა 1895 მ. 29 კ.

*** ტფილისში ამბავი მოვიდა, რომ ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი არხიმანდრიტი მამა ნიკოლოზი გადაუყვანიათ ეპისკოპოსად ქ. სან-ფრანციკოში (ამერიკაში), ხოლო მისს ალაგას დაუნიშნავთ მოგილევის სემინარიის რექტორი, არხიმანდრიტი მამა ტიხონი.

*** კვირას, 15 ამ თთვისას, წირვის შემდეგ აკურთხეს კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიასთან ახლად აშენებული სამრევლო სასწავლებელი. სასწავლებელი აკურთხა ხსენებულის ეკკლესიის წინამძღვარმა მ. მარკოზ ტყემალაძემ. კურთხევას დაესწრნენ ამავე ეკკლესიის სამზრუნველოს წევრნი, ახლად მიღებული ყმაწვილები და აგრეთვე მათი მშობლები. კურთხევის შემდეგ მ. ტყემალაძემ წარმოსთქვა ამ შემთხვევის შესაფერი სიტყვა. თუმცა ბევრს უნდოდა შვილების სკოლაში მიბარება, მაგრამ, სამწუხაროდ, ადგილის უქონლობისა გამო, ზოგს მათგანს უარი ეთქვა და სკოლაში მიღებულ იქმნა მხოლოდ 50 ბავშვი ორისავე სქესისა. მასწავლებლად არის დანიშნული ტფილისის საეპარქიო ქედათა სასწავლებელში ახლად კურს დისრულებული ელენე იმნაძე. სწავლა დაიწყო ორშაბათს, 16 სექტემბერს.

*** წარსულს შაბათს, 14 სექტემბერს, ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზედ, ტფილისის მიხეილის ქსენონში გარდაიცვალა 16 წლის ყმაწვილი ქალი, ლიუდმილა ვასილჩენკო, რომელმაც ამას წინად, როგორც ჩვენს გაზეთშიაც გვქონდა მოხსენებული, უცაბედად, თუ განზრახ, ნამდვილად არავინ იცის, მამის რევოლვერი დაიკრა მუცელში. გარდაცვალებულის გვამი გასჭრეს და აღმოჩნდა, რომ ტყვიას კორსეტი გაეტანა, ღვიძლი გაეხვრიტა და უკანა ხერხემალში ჩარჩენილიყო. იქვე აღმოჩნდა პატარა თუნუქის ნაჭერი, კორსეტიდგან ანაგლეჯი, რომელიც ტყვიას თან წაეღო.

*** კვირას ხაშურში აკურთხებენ რკინის გზის ორ-კლასიანს სასწავლებელს, რომელიც ეხლა ააშენეს.

*** კავკასიის ჯარის უფროს მღვდლად ნამყოფ გარდაცვალებულ მამა გუმილევსკის ალაგას, ჯარისა და ფლოტის პროტოპრესვიტერის მამა ჟელობოვსკის განკარგულებით, დანიშნული იქმნა დეკანოზი ვინოგრადოვი.

*** სამხედრო და საზღვო სამინისტროების პროტოპრესვიტერი მამა ჟელობოვსკი ტფილისიდამ პეტერბურგს უკვე გაემგზავრა.

*** ამ უკანასკნელ სამის კვირის განმავლობაში რკინის გზის სხვა-დასხვა სადგურიდგან 560 ვაგონი ხორბალი გაიგზავნა ბაქოში, ხოლო იქიდგან გაიგზავნება რუსეთის შიდა გუბერნიებში, სადაც ამ ჟამად სიმშილია.

*** ტფილისის პოლიციის მოხელეთ გამოუცხადეს თავისს უფროსებს, თანახმანი ვართ, რომ ჯამაგირიდამ ერთი პროცენტი დაგვიჭირონ იმ გუბერნიების გლეხთათვის გასაგზავნად, რომელთაც პური არ მოსვლიათ და სიმშილი აწუხებთო.

*** საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სადი კარნოს და და ნათესავნი: გრაფინია ლაფერონისა, გრაფი და გრაფინია ლიურისა ლიუსი და გრაფი დე სან ფალე გუშინ ბორჯომიდამ ტფილისში დაბრუნდნენ. ბორჯომში მათ დაუთვალიერებიათ იქაური წყლები. უმაღლესი მგზავრნი დღეს, ამ თთვის 16-ს, ღამის მატარებლით ბაქოში მიემგზავრებიან ნავთის წყაროების დასათვალიერებლად და იქიდგან-კი იმიერ კასპიის მხარეს გაემგზავრებიან სამარყანდამდე.

## ფელეტონი

### საწამლავი

(მოთხრობა ჟან რეიბრაკისა)

სასამართლოში ყველას უკვირდა, რომ ვექილი დაგერი დიდის გულმოდგინებით, თავდადებითა და გატაცებით ემზადებოდა მორისსეს დასაცავად—უკვირდათ იმიტომ, რომ საქმე მარტივი და კარგად გამორკვეულგამოძიებული იყო: მარიამ მორისსემ თავისის საყვარლის დახმარებითა და მონაწილეობით ქმარი მოსწამლა. ყველაფერი რიგიანად დასაბუთებული და დამტკიცებული ჰქონდა სასამართლოს მარიამ მორისსეს დანაშაულობის შესახებ. თუმცა საყვარელი გაიქცა და სადღაც გადიკარგა, მაგრამ თვით ახალგაზდა ქალმა არაფერი არა დაჰმალა-რა, ყველაფერში გამოტყდა და დაუყოვნებლივ აღიარა თავისი ცოდვა-ბრალი.

სწორედ ეს სიმშვიდე ქალისა, მისი წყნარი, აუშფოთებელი ქცევა გამოძიების დროს და ყოველისფრის თავისის პირით ღიარება აკვირვებდა დაგერსაც.

თავის ათის წლის ვექილობის განმავლობაში დაგერს მრავალი რთული და უცნაური საქმე გაესინჯა, დაეცვა და ბევრჯელ ენახა, რომ ქალები თავისის ბუნებრივის ორპირობისა გამო ატყუებდნენ არა თუ მარტო დამცველებს, არამედ თავიანთს თავსაც-კი, რადგან რცხვენოდათ და ეძნელებოდათ გულის პასუხების გამოაშკარავება. ამ გვარს შემთხვევაში თვით ვექილნივე იყვნენ იძულებულნი, როგორმე თავისით ცდილიყვნენ, შეედარებინათ ერთი მეორის წინააღმდეგი ჩვენებანი, ეძიათ, ეწვრილათ და ისე შეეტყოთ ჭეშმარიტი გარემოება და ვითარება საქმისა, ერთის სიტყვით, ისევე უნდა მოქცეულიყვნენ, როგორც მკურნალი იქცევა ხოლმე ჰირვეულ ავადმყოფის წამლობის დროს.

მარიამ მორისსე იმ ქალებსავით არ მოქცეულა: არც უტირნია, არც ტყუილი უკადრებია, არცა ცდილა, დაეჯერებინა დიგერი, უბრალო ვარ ამ საქმეშიო, და არც ის მრავალგვარი ქალური ხრიკები და ოსტატობა უხმარნია, რომლის სიყალბეც თუმცა ადვილი მისახვედრია, მაგრამ ბევრჯელ ძლიერ ჭკვიანსა და შეგნებულს კაცსაც-კი აუბამს ხოლმე თვალებსა. ამ ქალს მხოლოდ ცოტაოდენი ჯავრი და სრული ქედ-მოდრეკილობა ეტყობოდა ბედისადმი, თითქოს საიმედო და სასიხარულო აღარაფერი არ დარჩენოდეს ამ წუთისოფელშიო. დაგერი მისთვის დამცველი და მომავალი დამხსნელი-კი არ იყო, არამედ მხოლოდ კარგი მომუსაიფე ადამიანი, რომლის ლაპარაკიც ცოტაოდნად ართობდა და ჯავრს ავიწყებდა ამ წუთი-სოფლის გამოსალმებისას. მორისსეს არც სინიდისი ჰქეჯნიდა და არც თავისი ყოფაგარემოება ჰზარავდა.

რაკი დაცვას სრულიად უმნიშვნელო საგნად ჰხადიდა და უზრუნველად ეკიდებოდა, ამიტომ ისე გულღია და გულ-წრფელად ებაასებოდა თავისს დამცველს, რომ დაგერს ვერა და ვერ დაეჯერებინა მისი დანაშაულობა. ქალი შეყვარებული იყო. ხოლო შეყვარების დროს, ვინც უფრო ძლიერაა სიყვარულ-მორეული და გატაცებული, იგი ყმა და მონაა მეორისა, მისი სათამაშო საგანია, მეტადრე თუ ქალია ამ ყოფაში ჩავარდნილი. როდესაც მამა-კაცი, ქალის შთაგონებით, რასამე ბოროტებასა სჩადის, გული როგორღაც უმძიმდება, ჰშიშობს, მღელვარებს და თითონვე ეზიზღება და ერცხვინება თავისი საქციელი. ქალის საქმე სულ სხვაა. როცა იგი ამ გვარს საქმეზე დგება, ბუნება სრულიად ეცვლება, აღარ ახსოვს განსხვავება კეთილსა და ბოროტს შორის და აუღელვებლად, მედგრად, გმირულად აკეთებს გასაკეთებელს, თითქო თავისი თავი უარუყვია, განუწირავს და სრულიად დაუვიწყნიაო.

ასეთივე საქმე უნდა დაჰმართოდა მარიამ მორისსეს და სწორედ ასეც იყო. წყვდიადს საპატიმროში, სადაც გამოძიება დიდხანს სწარმოებდა და არც-კი ვისმე ეგონა, თუ ოდესმე დამთავრდებოდა, რადგან ქალის საყვარელი, თავი და თავი დამნაშავე, გადაკარგული იყო, მარიამ მორისსე მრავალს გვარს ამბავს მოუთხრობდა დაგერს თავის წარსულის თავ-გადასავალისას, სიყმაწვილისას და გათხოვებისას. მას შემდეგ, რაც გარემოებით იძულებულმა მეუღლეობა უარ-ჰყო და სხვა შეიყვარა, მარიამ მორისსემ ქმართან ყოველივე ურთიერთობა მოსპო, რადგან არ ძალუძდა ერთსა და იმავე დროს ორს ჰკუთვნებოდა, ხოლო ორპირობა და ფლიდობა-კი არ შეეძლო: თავ-მოყვარეობა ნებას არ აძლევდა ამისას. ვინაიდგან განქორწინება ვერა გზით ვერა ხერხდებოდა, ამიტომ გაქცევას აპირობდა და თანაც იმ აზრს ადგა, უსამართლო არ იქნება ჩემი გაქცევა, რადგან არც ერთს კანონს ნება არა აქვს, თავისუფლება შემიზღუდოს ან სრულიად მომისპოსო. რომ გაქცეულიყო, ხომ ქმარსაც უნდა შეეტყო ეს ამბავი, და აი საყვარელმა მუქარითა და სხვა გზით დააჯერა და გადააწყვეტინა თავიდგან მოშორება ქმრისა. ქალმაც გაუჭირვებლივ და წარბ-შეუხრელად აღასრულა. ეს უთუოდ ასეც მომხდარიყო, რადგან უამისოდ თავისუფალი ვერ შეიქმნებოდა. დანაშაულობას არა ჰმალავდა მარიამ მორისსე, მაგრამ დაწვრილებით ყველა გარემოებას-კი არ ეუბნებოდა დაგერს; არ უნდოდა, რომ გაქცეულის საყვარლისათვის მოეხვია ყველაფერი თავზე.

ბოროტის ჩადენამ მარიამ მორისსე ვერ შესცვალა, საზიზღარ ადამიანად ვერ აქცია, ის ისევ ლამაზი, წყნარი დარჩა, მხოლოდ მცირეოდენი უცნაურობა და საიდუმლოებით მოცილუბა ეტყობოდა. დაგერს თანდა-თან განუცხოველდა სურვილი ამ ქალის დახსნისა, იმედიც-კი მოეცა, გავიმარჯვებო, და ამიტომაც თითქმის ეხვეწებოდა და ემუდარებოდა

ნისტრაციის განკარგულებით, მათ ბაქომდე ტფილისის მეორე განყოფილების ბოქაულის თანაშემწე ბ-ნი სიტოვსკი გააცილებს.

*** სპარსეთის ელჩი ვენისა ნარიმან-ხანი თავის მდივნის ვახრამ ბეითურთ და სპარსეთის დამოჟნების დირექტორი ხანი ანტონ ქითაბჩი გუშინ ტფილისიდგან ღამის მატარებლით ბაქოში გაემგზავრნენ და იქიდგან სპარსეთში წავლენ.

*** ბათუმის ქალაქის თავი კ. დ—ძე გავრონსკი, რომელიც ტფილისში ჩამოვიდა ბათუმის მმართველობის საქმეების თაობაზე, გუშინ ბორჯომში გაემგზავრა, საიდგანაც იგი გააცილებს მათს იმპერატორებითს უმაღლესობას დიდს მთავარს გიორგი ალექსანდრეს ძეს და ალექსანდრე მიხეილის ძეს.

*** კავკავის გზა, როგორც კავკასიის გზათა ოლქის მმართველობას აცნობებენ, უკვე გაუკეთებიათ და ეხლა ეტლები ტფილისიდამ პირდაპირ კავკავში მიდის დაუბრკოლებლად. გულეთის დროებითი ხიდი მზად არის. კავკავიდამ იუწყებიან, რომ რაც აქ საქონელი იყო დაჭერილი გზის გაფუჭებისა გამო, ეხლა უკვე გამოვგზავნეთ ურბენითა და ფურგუნებითაო.

*** საფრანგეთის მგზავრთა ბარონ ლეონ მარსელენ ჟარა პანვილიეს, ჟოზეფ გერვე გრიუსს და მარი ცუტენს დაუთვალიერებიათ ბაქოში ნავთის წყაროები და გუშინ ტფილისში ჩამოვიდნენ. აქ მათ დაათვალიერეს აბანოები და სხვ.

*** სახალხო მატარებელმა, რომელიც ბაქოდგან მოდიოდა ტფილისში ამ თვის 14, საღამოს 10 საათზე, განჯაში დააშავა მე-548 ვერსის გზის დარაჯი ივანე სმირნოვი. საბრალო რკინის გზის ქსენონში გაგზავნეს.

## ქართული თეატრი.

ბორკილი, დრამა 4 მოქმედ., თ. სუმბათაშვილისა, თარგ. ახნაზაროვისა. დათვი, ერთ-მოქ. ვოდევილი, გადმოქარ. გრ. ვოლსკის მიერ.

კვირას, ამ თთვის თხუთმეტს, დაიწყო ქართულის თეატრის სეზონი. ჩვენმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ორი პიესა: ოთხმოქმედებიანი დრამა ა. სუმბათაშვილისა „ბორკილი“, თარგმნილი ბ-ნ ახნაზაროვის მიერ და ერთმოქმედებიანი ვოდევილი „დათვი“, გადმოქართულებული ბ. ვოლსკის მიერ. ბ-ნ სუმბათაშვილის დრამას ერთი საუკეთესო და საპატიო ადგილი უჭირავს რუსულს ხელოვნურს ლიტერატურაში და შეეხება ძველს, მაგრამ ყოველთვის ახალს საჭირ-ბოროტო საგანს და დღიურს ვარამს—შვილების მდგომარეობას და მათს აღზრდას ოჯახში. ამ საყურადღებო საგნის განხილვა და შვილების აღზრდის საქმე მით უფრო გამწვავდა ამ ბოლოს დროს, რომ თითქმის ოჯახის ბურჯი და ზნეობრივი საფუძველი მისი შეირყა და მტკიცე ნიადაგზე აღარა სდგას. ამისათვისაცაა, რომ ამ საგანს უყურადღებოდ არა სტოვებს არც ერთი გვარი ხელოვნურის ლიტერატურისა, სულ ერთია, ეს დრამა იქნება იგი, თუ რომანი, მოთხრობა თუ პოეზია.

სუმბათაშვილის დრამამ ყურადღება დაიმსახურა რუსეთში და განუწყვეტლივაც თამაშობენ ამ სამის წლის განმავლობაში. მით უმეტეს საყურადღებო და საინტერესო იყო მისი ნახვა ჩვენს სცენაზედ, რომ ამ დრამით დაიწყო სათეატრო დასმა სეზონი და უეჭველია დასი ეცდებოდა კიდეც სრულიად გამოეჩინა თავისი ძალ-ღონე და უნარი, მაგრამ ის უნდა გავიმეოროთ კიდევ, რაც არა ერთხელ თქმულა ჩვენს გაზეთში, რომ უცხო ქვეყნიდგან გადმონერგილს პიესას მზა ნიადაგი არა ხვდება აქა და ვერც დასის ძალ-ღონე შესწევს იმის სისრულით გამოხატვას.

მართალია, ამას ვამბობთ, მართალია, ასეთი ზედმოქმედება იქონია კვირინდელმა წარმოდგენამაც, მაგრამ სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ პიესამ რიგიანად ჩაიარა, მწყობრად და ის არ დაჰმართებია, რასაც სათეატრო ენაზედ რუსები „პროვალ“-ს ეძახიან მხოლოდ ეს ვერ შევიტყეთ, რა მიზეზი იყო, რომ პირველი სამი გამოსვლა გამოაკლეს. პიესის მსვლელობისთვის ამ სამს გამოსვლას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და მისი გამოტოვება დიდ დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს ადმინისტრაციას. სუმბათაშვილის პიესა ფარსი ხომ არ არის, ან ფეერია, რომ რომელი ალაგიც გინდათ, ის ამოჰგლიჯო, ოღონდ საჭირო ეფექტი მოახდინოთ მაყურებელზე და ტაშის კვრა გამოიწვიოთ? გამოტოვებულ სამს გამოსვლაში გამოხატულია ფსიხოლოგიური ბრძოლა, დასაწყისი პიესისა. მაყურებელი იქა ჰხედავს, რომ ოლგა გარანინის მყუდრო ცხოვრებას ბოლო ეღება, რომ გონებაზე მოსულს ანიკოს რაღაც გამოუთქმელი სევდა აწუხებს, ჰხედავს, რომ მისი სულიერი არსება დაუკმაყოფილებელია, ჰგრძნობს არა ჩვეულებრივს უბედურებასა და მოუსვენრობას.

უმთავრესი როლი დრამისა ნინო ვოლინცევისა ქ-ნმა ავალოვისამ მშვენიერად ჩაატარა, მაგრამ ის-კი უნდა ვუსაყვედუროთ ნიჭიერს არტისტ-ქალს, რომ ალაგ-ალაგ კოჭლობდა და როლის უცოდინარობა ეტყობოდა, რაიცა მეტად აქარწყლებდა იმ დიდს ზედ-მოქმედებას, რომელიც მოახდინა მისმა დაფიქრებულმა და მოხდენილმა თამაშმა. ამასთანავე არტისტი-ქალი უსათუოდ უნდა ეცადოს და მიეჩვიოს მკაფიოთ გამოთქმას, თორემ სიტყვების ყლაპვა სრულიად გაუფუჭებს, რაც უნდა ლამაზი თამაში ჰქონდეს. ამ მხრივ უნაკლულოდ გვეჩვენა ქ. ჩერქეზიშვილისა, რომელმაც ანფისას როლი აასრულა. მისი მკაფიოდ ლაპარაკი და როლის ცოდნა სწორედ სამაგალითო იყო.

პირ-ნათლად და რაც შეიძლებოდა კარგად ჩაატარეს თავიანთი როლები ქ-ნმა საფაროვისამ, ბ-ნმა აბაშიძემ, გედევანოვმა, გუნიამ და კანდელაკმა. მხოლოდ არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ აბაშიძის კილო მეტისმეტი შეუსაბამო იყო. ვის გაუგონია აგრეთი კილო იმ საზოგადოების წრეში, რომელშიაც პროპორიევები ტრიალებენ. ამას გარდა, პროპორიევი გაქნილი, გაიძვერა კაცია, ნამდვილი პეტერბურგის „ჟუირი“ და ამ გვარს ხალხს ჩვეულებად არა აქვს ყვირილით მუქარა. იმათ ტკბილად და აუჩქარებლივ იციან სისხლის გამოწოვა.

ბ-ნს გუნიას ვურჩევთ მეტი ყურადღება მიაქციოს სახის მოწყობას და ჩაცმულობას; არტისტმა კარგად უნდა იცოდეს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს როლის შესაფერს ჩაცმულობას, უამისოდ ილიუზია იკარგება და სცენაზე არტისტების მაგიერ ჩვენი ნაცნობები გვეჩხირებიან თვალში. არც რიგია როლში სიტყვების ჩამატება, მერე იმისთანა საშინელის სიტყვისა, როგორიც „მხეცო“-ა, რომლითაც მან დაასრულა სიტყვა, ნინოს მიმართ ნათქვამი, როდესაც უკანასკნელი დაემუქრა, ანიკოს ჩემთან წავიყვანო.

ეს საყვედური მარტო გუნიას არ შეეხება, საერთოა. ხშირად იციან ჩვენმა არტისტებმა სიტყვების ჩაკეცება, ან ისე უცნაურად გამოსთქვამენ, რომ სიცილის მეტი აღარა დაგრჩენიარა-რა. მაგ., რა ქართულია, „გავიქანცეო“, რომელიც აბაშიძემ წარმოსთქვა ნინოსთან ლაპარაკის დროს. მართალია, ეს ყველაფერი წვრილმანია, მაგრამ ამ წვრილმანსაც მნიშვნელობა აქვს და ჩვენი ერთადერთი სურვილია, რომ ეს პატარა ნაკლულევანებაც აღარ გვენახოს შემდეგში.

ჯერ-ჯერობით არას ვიტყვით ახალ არტისტ-ქალების, აგიაშვილსა და არლანის შესახებ, ვნახოთ, შემდეგ რა ნიჭსა და უნარს გამოიჩენენ, ვურჩევთ-კი რეჟისორს, რომ დიდი ყურადღება მიაქციოს, დიდად იშრომოს მათის გაწურთვნისათვის.

საზოგადოთ პიესამ კარგად ჩაიარა, როგორც უკვე ზემოდა ვსთქვით, და უხვადაც დააჯილდოეს ტაშის კვრით ავალოვისა, საფაროვისა, გუნია და აბაშიძე, განსაკუთრებით პირველი.

ვოდევილმა „დათვმა“ მხიარულად ჩაიარა და ჩვეულებრივ თავი იჩინეს ქ. საფაროვისამ და ბ. აბაშიძემ. არა უჭირდა რა მოსამსახურის როლში კანდელაკსაც. საზოგადოებამ ძალიან ბევრი იხარხარა და, ვგონებთ, ეს ვოდევილი დიდხანს თავსაც არ მოაწყენს მაყურებელს.

დასასრულ ორიოდე შენიშვნა კიდევ. წარმოდგენა გათავდა პირველის საათის 15 წ. ვის გაუგონია ამდენი ხნით გაჩერება ხალხისა თეატრში, ან რა საჭიროა წარმოდგენის დაწყება ცხრის ნახევარზე! გალერეიაში მყოფი საზოგადოება და თითო ოროლა პარტერშიაც მეტის-მეტად უზდელად იჭერს თავს: სწორეთ იქ ასტეხავს ხოლმე სიცილს, სადაც სრულიად საჭირო არ არის. ძლიერი დრამატიული ალაგები ამის გამო მაყურებელს ეკარგება და ცუდს გუნებაზედ ჰხდება. უეჭველია ეს შეუფერებელი ხათხათი მოთამაშესაც ხელს შეუშლის. თეატრის ადმინისტრაცია უსათოოდ უნდა ეცადოს და იღონოს რამე, რომ ასეთი უწესოება კვლავ აღარ განმეორდეს.

ა. ლ. ი.

## წერილი ქუთაისიდგან

ზაფხული ისე გავატარეთ და შემოდგომასაც ისე მივეგებენით, რომ თითოეული ჩვენგანი მუდამ დღე ავაზაკებისაგად თავდასხმას ელოდდება. მართლაც, ისე ერთი კვირა არ გაი-

---

ქალსა, მოინდომე თავის დაცვა, იმ კაცს ნუ ჰფარავ, გაიმეტე, დეე დაისაჯოსო. გალმობიერებულმა თავისის ხვეწნა-მუდრით, დაგერი ისე გატაცებული იყო, თითქოს სამსჯავროში არიან და მსაჯულთა წინაშე ამბობს ქალის დასაცავად სიტყვასაო. ვექილი დარწმუნდა, თუნდა ყველაფერსაც დაიფიცავდა, რომ ქალი უბრალო იყო, მაგრამ მარიამ მორისსე არ აჰყვა, სახეზე რაღაც საიდუმლო ღიმილი ეტყობოდა და თითქმის აპირობდა კიდეც, ეოუხუნჯნა დაგერის გატაცებულობის გამო. რაც უნდა მომხდარიყო, როგორც უნდა გათავებულიყო საქმე, ქალს გადაწყვეტილი ჰქონდა, თავი უნდა მოვიკლაო.

— რომ გაგამართლონ?

— სულ ერთია, მაინც თავი უნდა მოვიკლავო, ეუბნებოდა მარიამ მორისსე დაგერს იმავე უცნაურის ღიმილით, მცირედ თავჩაკიდებული.

II

მარიამ მორისსე გაამართლეს. სასამართლოში მყოფი ხალხი დიდის აღტაცებით მიეგება ამ ამბავს.

საქმის გარჩევის დროს მარიამ მორისსე ჩვეულებრივ წყნარად, მშვიდად იქცეოდა. საქმეს მრავალი გამოურკვეველი გარემოება აღმოუჩნდა, ყველაფერი გაქცეულს სიყვარულს მოეხვა თავზე, ხოლო ქალი თავისის სიწყნარითა და მწარის ღიმილით თანაგრძნობას ჰპოვებდა მსაჯულებისას, მეტადრე მაშინ, როდესაც დაგერმა თავისი სიტყვა დაიწყო, სავსე მღელვარებითა და გულმწუხარებით.

თვით დაგერივე გრძნობდა, მთელი დარბაზი სულ-განაბული მიგდებს ყურსაო და მართლაც, მისი სიტყვები ისე ჰხვდებოდა მსმენელთა გულს, როგორც კეთილი თესლი ნაყოფიერს ნიადაგს. რწმენა ეტყობოდა დაგერს და ნაფიცმა მსაჯულებმაც ირწმუნეს მისი სიტყვები.

მარიამ მორსსე თავისუფალი შეიქმნა, მაგრამ ისევ გრძნობა გამოურკვეველი და გარინდებული დარჩა. ვერ შეეგნო, რაც მოხდა, და თავისი გამართლება არა სჯეროდა, სიცოცხლისა ეშინოდა, თავისი მომავალი ისეთივე ეგონა, როგორც საპატიმროში ყოფნის დროსა ჰქონდა წარმოდგენილი, და თავის მოკვლა გარდასწყვიტა. თავის მოკვლის აზრი იმ გვარად შეითვისა, რომ ერთბაშად რაღაც დაუდგრომელობა შეეტყო, ჰნანობდა და თითქმის ეშინოდა კიდეც, რადგან ეხლა თავის მოკვლა ისე აღარ ეადვილებოდა, როგორც წინად.

დაგერს სასოება წარეკვეთა, ვაი თუ ამაოდ ჩამიაროს ქალის დახსნამაო და ამიტომ ცდილობდა, სიმირამ აეღელვებინა იმისს გულში და კვლავ ცხოვრებისაკენ, სიცოცხლისაკენ მოებრუნებინებინა პირი. ქალსარც შვილები ჰყავდა, აღარც სიყვარული შერჩენოდა. რისთვის უნდა ჩაეკიდნა დაგერს ხელი? ღონე მხოლოდ ეს-ღა იყო: დაგერი ეუბნებოდა: ლამაზი ხარ, ახალგაზდა ხარ, გული მოიბრუნე, კვლავ მრავალი ბედნიერება მოგელისო—ვინ იცის, კაცს რა არ გადაჰხდება, დროებას ყველაფერი შეუძლიანო.

— ახ, რა მრისხანენი ხართო! ამბობდა ნელის ხმით ქალი.

— თქვენ ხომ ახალგაზდა ხართ, ხომ ლამაზი ხართო, უთხრა დაგერმა, მოჰკიდა ხელი ხელში და აკანკალებულის ხმით განაგრძო: რა ვიცით, იქნება ახლად გაგიცხოველდეთ სიყვარულის გრძნობა, იქნება ისეთი კაცი შეგხვდეთ...

დაგერი შეჩერდა. მარიამს სახეზე რაღაც ნაღველი, ტანჯვა დაეტყო. ხელი გაინთავისუფლა დაგერის ხელიდგან და თვალებზე მიიფარა. მთელი ტანი აუკანკალდა და ხმამაღლა ტირილი დაიწყო.

— დიდება ღმერთსაო!—სთქვა თავისთვის დაგერმა, თითონ გაჩუმდა და თავი მიანება, რომ მარიამს გამოეტირნა და გული მოეოხებინა. ქალი უფრო და უფრო უმატებდა ტირილსა. დაგერი მიუახლოვდა და დამშვიდება დაუწყო, მაგრამ ქალის ტირილში თანდათან უფრო მეტი სასოწარკვეთილება, მეტი სულის ობლობა იხატება. დაგერის სიტყვა აღარა სჭრიდა, ღონე გამოელია, წყნარად აიღო მარიამის ხელი და ეამბორა. შემდეგ ხელი მხარზე დაადო, სახე მიუახლოვა და ოდნავ თმას მოახვედრა. საზრი იმ გვარად დაეკარგა ორსავე, რომ ვერც ქალი და ვერც თითონ დაგერი ვერა გრძნობდა, თუ ვეალერსებიო. მარიამმა ნელ-ნელა ტირილს უკლო, შემდეგ გაახილა თვალები და შორს, სადღაც სივრცეში დაიწყო გაშტერებით ცქერა. დაგერიც სავარძელზე დაყუდებული ჩუმად იდგა. ამ სიჩუმის დროს ორსავე ნელ-ნელა აზრი შეეპარა, იქნება ერთმანეთი გვიყვარდეს მართლაო.

მეორ-მესამე დღეს მარიამ მორისსეს გული რაღაც უცნაურად უჩქროლავდა, ეგონა სენისაგან ვრჩებიო და სიკვდილზე ფიქრი თანდათან ავიწყდებოდა.

მერე ეს რა გრძნობამ გაიღვიძა მარიამის გულში? გაზაფხულის მზის სხივები რათ ახარებდა და რათ აგონებდა ახალგაზდობას, რათა ჰგვრიდა სხვა-და-სხვა უმანკო სურვილს? იქნება ეს ისევ ის ადრინდელი განსაცდელი იყო, რომელმაც სიცოცხლე მოუწამლა? იქნება ეს ისევ ძველი სურვილი და ოცნება იყო, რომ ერთხელ კიდევ შეეპყრო მარიამ მორისსე და კვლავ უარესად და უფრო საზარლად დაემარცხებინა?

არა, ეს ტყუილი ოცნება იყო, მარიამი ტყუილად ცდილობდა, მკვდრად დაესახა თავისი თავი; კვლავ იმედი მოეცა, იქნება ბედნიერებას მივაღწიოვო და ხანდისხან ბაასსა და საუბარს გამართავდა ხოლმე დაგერთან.

— ვიციო, ეუბნებოდა მარიამი დაგერს, რომ თქვენ მიერ ჩემ დასაცავად წარმოთქმულმა სიტყვამ გაგიტაცათ და იმიტომაც დარწმუნდით ჩემს სიმართლეზე სწორედ იმ გვარად, როგორც ქალები ჩვენსავე ტყუილს ჩვენვე ვიჯერებთ ხოლმეო.

— მაგიტომ-კი არა,—იმიტომ, რომრომ მიყვარხართო, უპასუხა დაგერმა.

მარიამმა, თითქოს ეს სიტყვები ვერ გაიგონეო, კვლავ მოიგონა ქმრის სიკვდილი და თავისს თავს კიცხვა დაუწყო. დაგერი მოთმინებით შესცქეროდა იმისს ლაპარაკს და პირს ღიმილი ურბოდა; მერე რა გამოვიდა, რომ ეგ საქმე შეემთხვა? ხომ არ გამოცვლილა! ხომ ისევ ის მარიამი დარჩა მას შემდეგაც! დაგერს უყვარდა მარიამი და იქნება იმიტომაც უყვარდა, რომ იგი დამნაშავე იყო. დაგერს კიდევაც ენატრებოდა, ნეტავი მომეტებული დამნაშავე იყოს, ნეტავი მეტი ბოროტება ჰქონდეს ჩადენილი, რომ ჩემს მისდამი სიყვარულს და ერთგულებას უფრო დიდი და ღირსეული ფასი დაედოსო.

თანდათან მარიამი უფრო და უფრო შეეჩვია დაგერს, უფრო გულ-

ვლის, რომ ან თვით ქუთაისში, ან დაბა-სოფლებში ისეთი ავაზაკობა არ ჩაიდინოს ვინმემ, რომ მთავრობა და საზოგადოება არ განაცვიფროს თავისის გამბედაობით, კადნიერებითა და უშიშრობით მთავრობისა და სამართლის წინაშე. საკვირველიც არ არის, რომ ავაზაკებმა ესე აბუჩად აიგდეს პოლიციაცა და საზოგადოებაც და ასე თამამად დანავარდობენ მთელს გურია-იმერეთსა და რაჭაში. ამ ამბების შემხედვარე და გამგონე ძალა-უნებურად იმასა ვფიქრობთ, რომ იქნება ქუთაისის გუბერნიის სხვა-და-სხვა ადგილას ერთი და იგივე განწყობილი, დახელოვნებული და ერთსული დასი ავაზაკებისა დანავარდობს, რომელსაც ავაზაკობასა შინა განსწავლული მხედართ-მთავარი უნდა ჰყავდეს. ამასთანავე უფროს-ერთს ჩვენგანს ის აზრი აწუხებს, რომ პოლიცია ულონოა, ავაზაკობისაგან დაგვიცვას და დაგვიფაროსო.

ამ გზობით ორს ამბავს მოგაგონებთ, რომელიც გაზეთებშიაც იყო მოხსენებული. ივლისის თთვეში ავაზაკები თავს დაესხნენ რაჭაში ბ-ნ ჩიკვაიძის სახლსა და, რაც ჩაიდინეს, ყველას კარგად მოეხსენება; იმავე თთვის დამლევს რამდენმამე ქუთაისელმა „პოვარმა და ლაქიამ“ სოფ. ქვითირში, რომელიც ქუთაისს აკრავს, მოჰკლეს და გაძარცვეს აზნაური ასათიანი. ამ ორმა ამბავმა თავისს დროზე ძალიან დაგვაღონა და ავაზაკობის გავრცელების შესახებ ბევრი გვალაპარაკა და დიდადაც ვკვირობდით ავაზაკების გამბედაობას, მაგრამ დღეს, 11-ს ამ თთვისას, შიგ შუაგულს ქალაქში, დილის ათს საათზე, რომ ამბავი მოხდა, იმისთანას არაფერს შევსწრებივართ და ღმერთს შევევედროთ, რომ სხვა დროსაც არ შევესწროთ.

საქმე ის არის, რომ დილის ათი საათი იქნებოდა, როცა ქუთაისის ხაზინადარმა ბ-ნმა ჩარკვიანმა და ორმა ნაფიცმა მოსამსახურემ ხაზინისამ ფოსტიდგან მიიღეს სამოც-და-ხუთმეტი ათასი მანათი ფული (75,000) და ხაზინისაკენ წამოიღეს ქვეითად. ფული ნაფიცს მოხელეს ბ-ნს ქ. მილორავას მიჰქონდა. როდესაც ტფილისის ქუჩას დაუახლოვდნენ, მოსახვევში, ორი ცხენოსანი კაცი მიეგებათ წინ და ერთმა ამათგანმა თავში კეტი დასცხო ბ-ნს მილორავას. საბრალო თავპირ-დასისხლიანებული კაცი ძირს დაეცა, მაგრამ ფულის აბგას ხელი მაგრა ჩასჭიდა, ქვეშ დაიტანა და ზედ დააწვა. რაკი საქმე ძალზე მიდგა, ავაზაკებმა კიდევ უფრო დაუშინეს თავში კეტი საბრალო კაცს. ამ დროს მეორე ნაფიცმა მოხელემ მილორავას გამოსტაცა აბგა და ეზოს გალავანში გადისროლა, და, რაკი ფული ხელში ვერ იგდეს, ავაზაკები ერთის თვალის დახამხამებაზე თავიანთ ცხენიანნაბდიანად თითქოს უფსკრულმა შთანთქაო, მასვე წამს დაიკარგნენ, „არ უნახავს თვალსა ჩვენსა, გვანდნენ ქვესკნელს ჩაძრომილსა, ანუ ზეცად ანაფრენსა და ეძებდეს და ვერ ჰპოვებდეს კვალსა მათგან წანარბენსა“. რასაკვირველია, ქუჩაში ხმაურობა შეიქმნა; გამოცვივდნენ ახლო-მახლო მცხოვრებლები, მაგრამ მდევარი და მომწევი არავინ იყო. შეიქმნა ძახილი, იქნება პოლიციაა სადმე, მოგვეშველნენო, მაგრამ ესენიც ქვესკნელს ჩაძრომილთა ჰგავდნენ, თუმცა ეს ამბავი მოხდა ტფილისის ქუჩისა და ბ-ნ გუბერნატორის სადგომის მახლობლად...

ხაზინადარმა დ ერთმა ნაფიცმა მოსამსახურემ გადარჩენილი ფული ეტლით წამოიღეს, ხოლო ბ-ნი მილორავა, სისხლში მოსვრილი და გრძნობა მიხდილი, სამკურნალოში მიიყვანეს. მნახველები ამბობენ, რომ მთელი გზა, ფოსტიდგან დაწყებული ხაზინამდე და სამკურნალომდე, ნახევარ ვერსზე მეტი, ისე განვლეს ხაზინადარმა და მილორავამ, რომ ერთი პოლიციელიც არ შეხვედრიათო. ერთის საათის შემდეგ ქალაქის პოლიციაც შეიძრა და ბ-ნი მაზრის უფროსიც დაედევნა ავაზაკებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით კვალიც ვერ აღმოუჩენიათ. ამბობენ, ბ-ნს ნ. ჯაიანს, ქუთაისის მაზრის ბოქაულს, რომელიც მდევრად იყო გაგზავნილი, ვიღაცამ საღორიის ტყიდგან რევოლვერი ესროლაო.

მთელი დღეა ამ ამბის შესახებ ვლაპარაკობთ. საზოგადოება მეტად შეწუხებულია. საკვირველი ის არის, რომ, როცა რაიმე უბედურება მოხდება ხოლმე ქუთაისში, პოლიცია სანთლით საძებნია, და თუ რომელმამე პოლიციელმა სადმე თავი ამოჰყო, შველის იმედი ნუ გაქვთ. თუ გაიხსენიებთ ამას წინად, რომ ს. ჩიქვაიძემ შიგ შუა გულს ქალაქში რომ დაჰკლა და ლუკმა-ლუკმად აჰკაფა ნ. ყიფიანი, პოლიციელი იქ იყო, მაგრამ ხელი ვერ გამოიღო. ეხლა ხაზინის მოხელეებს ავაზაკები თავს ესხმიან დილის 9-10-ს საათზე და პოლიციელები სად იყვნენ, ვინ იცის. ამას შემდეგ რა გასაკვირველია, რომ პოლიცია ნდობას ჰკარგავს საზოგადოებისას და თავისის დაუდევრობითა დ უხერხულობით ავაზაკობას ამხნევებს.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამას წინად თქვენს პატივცემულს გაზეთში შენიშვნა იყო დაბეჭდილი, ვითომც, სხვათა შორის, მეც ვიღებდე მონაწილეობას იმ ქართულს სათეატრო დასში, რომელიც უნდა დაარსდეს ქ. ბათუმში ბ-ნ ხარაზოვის თაოსნობით.

უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ამბავი პირველი გაგონებაა ჩემთვის, რადგან ბ-ნი ხარაზოვი არც თვალით მინახავს და მაშასადამე არც არავითარი გვარი მოლაპარაკება ამ საქმის შესახებ მასთან არა მქონია.

ეფ. მესხი

## დეპეშა

13 სექტემბერი

**პეტერბურგი.** დიდის მთავრინას ალექსანდრა გიორგის ასულის გარდაცვალების გამო გლოვა დაიდო სახელმწიფო სასახლეს სამის თთვით, და დღეს ისააკის ტაძარში კარის კაცთა, სტუმართა და გენერლობისა და აფიცრობის თანადასწრებით პანაშვიდი იქმნა გარდახდილი.

რკინის გზებით ცხენების წაყვანაც გააიაფეს იმ ადგილებში წასაყვანად, სადაც მათი გამოკვება უფრო იაფად დაჯდება. ეს შემცირებული გარდასახადი შემოღებული იქმნება 14 სექტემბრიდამ. შემცირებული გარდასახადი გამოერთმევათ აგრეთვე წამყვანთაც, ესე იგი, 75% დაუკლებენ.

**კონსტანტინოპოლი.** პორტა უცხადებს თავისს წარმომდგენლებს საზღვარ გარედ, მიწერილობა დარდანელის კომენდანტისადმი შესახებ „Добровольный флотъ“-ის თავისუფლად გატარებისა იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ბევრჯელ შეცდომით შეუჩერებიათ ხოლმე რუსეთის გემები და ეს უხერხულობა გვინდა შემდეგისთვის თავიდგან ავიცილოთ, თორემ ამ მიწერილობაში სხვა ახალი ამბავი არა არის-რაო.

**სოფია.** როგორც „Свобода“ იუწყება, გრეკოვის მისვლა კონსტანტინოპოლში საპოლიტიკო აზრით არ მომხდარა. პრინც კობურგელის დამტკიცების საქმეს სულაც არ შეხებია. ბოლგარიის სახელმწიფო კაცებს აწინდელი გაჭირვებულ გარემოების გამო არა ჰსურთ ამ საგანზე ლაპარაკის ატეხა, რომ პორტა არ შევაწუხოთო.

**პარიჟი.** ჩინეთის რწმუნებული ტჩინ-ტოჩინი დღეს გარეშე საქმეთა სამინისტროში მივიდა და პეკინიდგან მოსული დეპეშა წარუდგინა, რომელიც იუწყება, რომ ჩინეთის მთავრობა შესაფერს ღონისძიებას ხმარობს უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომთა დასაცავად და ჩრდილოეთის ესკადრას ებრძანა აჯანყების მხარეს წასვლაო. ჩინეთის მთავრობას იმედი აქვს, რომ საფრანგეთის მთავრობა მოუცდის იმას, თუ რა შედეგი მოჰყვება ამ ახლად ღონებულს ღონესაო.

**პარიჟი.** დიდის მთავრინას ალექსანდრა გიორგის ასულის გარდაცვალების გამო პრეზიდენტმა კარნომ სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა ბერძენთა მეფეს.

14 სექტემბერი

**პეტერბურგი.** გამოაცხადეს უმაღლესი ბრძანება იმ წესის შესახებ, რა წესითაც უნდა იყვნენ მიცემულნი სამართალში დამნაშავენი ამიერ კავკასიის რკინის გზაზედ მოსამსახურეთა ან მოგზაურთათვის შეიარაღებით თავდასხმისა და ან განზრახ გზის წახდენისათვის. სასჯელი მიესასჯებათ მე-279 მუხლის ძალით სამხედრო წესდებისა სასჯელთა შესახებ. სამხედრო სამართალში მიცემა უნდა გადასწყდეს ხოლმე იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრების მოლაპარაკებით. ეს კანონი იმ დრომდე დარჩება, ვიდრე ხსენებული ავაზაკობა არ მოისპობა ამიერ კავკასიის რკინის გზაზე.

„Московскія Вѣдомости“-ს ცალკე ნომრების გასყიდვა აღკრძალულ იქმნა

„Бирж. Вѣд.“ იუწყება, გუბერნატორებს ებრძანათ, ყური უგდეთ, რომ სათესლე პური ნელ-ნელა შესყიდულ იქმნას და გაზაფხულზე, ვიდრე გზები შეიკვროდეს, ადგილობრივ მიიტანონო. ეს პური უნდა გარდაეცეს საერობო უფროსებს და გლეხებს მიეცეს მხოლოდ დათესის წინა დღეს დ ამასთანავე თვალ-ყურიც

---

დადებით უგდებდა ყურს იმისს მომხიბლავს ლაპარაკსა, თითქო ჰმადლობდა კიდეც, გულში რაღაცა იმედმა მოიკიდა ფეხი და სასოებაც უბრუნდებოდა; ეგონა, ხელახლად ვიბადები, გული მიახლდება და კვლავ იწყებს ყვავილობას, როგორც გაზაფხულის პირს ზამთარს გამოვლილი მცენარეო. ამასც-კი ჰფიქრობდა, პირველადვე რომ დაგერს შევყროდი, ქალწულივე რომ მაგას მივთხოვებოდი, მაშინ ბედნიერად ვიცხოვრებდი, ხიფათსა და უბედურებას ჩემთან ხელი არ ექნებოდაო. ხოლო ეხლაც, ამ სამწუხარო გარემოების დროსაც-კი, მარიამს ცვლილება ეტყობოდა, იმედი უცხოველდებოდა და გრძნობდა, მგონი, ჩემს ტანჯვა-ვაებას ბოლო ეღება, გრიგალი უნდა ჩამიდგეს და სამკვიდრო ალაგს უნდა მივაღწიოვო ამის მიზეზი დაგერის სიყვარული იყო. ის სიყვარული ამშვიდებდა მარიამსა და თავისკენ იზიდავდა.

### III

დაგერმა გადასწყვიტა მარიამის შერთვა. ეხლა ველარაფერი ვერ დაახევინებდა უკან: არც თავის საქმის წახდენისა ეშინოდა, არც საზოგადოების მითქმა-მოთქმისა და არც იმისი, თუ ოდესმე შვილები სამწუხარო ამბავს რასმე შეიტყობდნენ დედის წარსულის ცხოვრებისას.

მარიამი ვერა ჰბედავდა დათანხმებას ქორწინებაზე. მაგრამ რადგან დაგერს უყვარდა, რადგან ქალიც გრძნობდა, რომ ვუყვარვარო, ამიტომ მარიამი უფრო იმას ამჯობინებდა, მოდი საყვარლად გავუხდები და ხელს-კი არ შევუკრავ, თავისუფლებას არ მოვუსპობო. ეს ფიქრი მარიამს თავის პატიოსნობის გამო მოსდიოდა. მაგრამ დაგერი ოცდათხუთმეტის წლის კაცი იყო, ყმაწვილი აღარ გახლდათ და იმის გარდაწყვეტილება მტკიცე, მაგარი გარდაწყვეტილება უნდა ყოფილიყო. დაგერს ისე უყვარდა მარიამი, რომ უიმისოდ თავისი ბედნიერება და სიცოცხლე მოუხერხებლად მიაჩნდა. ქალის სიკეთეზე დარწმუნებული იყო და თავისიცა სწამდა და სჯეროდა, ჩემს დღეში არ ვუმტყუნებ და არ ვუღალატებო. ამასთანავე ისიც კარგად იცოდა დაგერმა, რომ საზოგადოება მხოლოდ მხდალსა და უბედურს ხალხს აიღებს ხოლმე ყბადა, ხოლო ძლიერთა მოქმედების წინაშე-კი თვით საზოგადოება დრკება.

ჯვარის წერის შემდეგ სამგზავროდ წავიდნენ და ერთი თთვე დარჩნენ გზაში. ქალბატონი დაგერისა სრულიად გამოიცვალა. უწინდელი მისი გაფითრებული სახე ეხლა თეთრ-მწითური შეიქმნა, ეხლა მისს ღიმილის მწუხარება და საიდუმლოებით მოცულობა აღარ ეტყობოდა. თვალები გაუბრწყინდა და გულ დაკოდილობაც განქრა; თავისი ქმარი ძლიერის, ჭეშმარიტის სიყვარულით შეუყვარდა, მისი საგონებელი მხოლოდ ქმარი-ღა შეიქმნა; ნატრობდა, ნეტავი მთლად სიყვარული ვიყო და ჩემს მეუღლეს შევეღიოვო. მარიამი ბედნიერად ჰხადიდა თავისს თავს დ აღარა აწუხებდარა, გარდა იმისა, რომ პარიჟში დაბრუნდება ეძნელებოდა. ყოველისფერი ნაღველი, ტანჯვა-ვაება პარიჟში დასტოვა დ ამიტომ ეზარებოდა კვლავ იმ ადგილას მისვლა. ყოველს ღონის ძიებას ხმარობდა, რომ, რაც შეიძლებოდა, მეტი ხანი დარჩენილიყვნენ მგზავრობაში; ქმარს ნიადაგ იმას ეუბნებოდა, პარიჟში რომ მივალთ, ასეთი ახლონი აღარ ვიქნებით ერთმანეთისაო. ერთის სიტყვით, მარიამს უნდოდა ერთბაშად გული ეჯერებინა ბედნიერებით.

ასე რომ იქცევოდა, მარიამს თავისი ანგარიში ჰქონდა. რაც მეტი ხანი გავიდოდა ქორწილს შემდეგ, მისის აზრით უფრო უკეთესი იქნებოდა: ვაი თუ შემდეგში როგორი გარემოება დამიდგესო, ვინ იცის დროთა ვითარების გამო დაგერმა ჩემზე გული აიცრუოსო. სწორედ ამიტომაც ცდილობდა დიდს ხანს ჰყოლოდა თავისთან განმარტოებით ქმარი, კარგად დაეახლოვებინა, დაესაკუთრებინა და თვად მტკიცედ დარწმუნებულიყო, რომ ველარაფერი ვერ დაარღვევს ჩემს ბედნიერებასაო.

მაინც დაბრუნდნენ პარიჟში. დაგერმა კვლავ ვექილობას მოჰკიდა ხელი და სასამართლოში დაიწყო სიარული. ცოლი ყოველთვის დაკვირვებით შესცქეროდა თვალებში, უნდოდა გაეგო, ნაწყენი რომ არ არის, ხომ არავინ არ გაჰკიცხა ჩემის შერთვის გამოვო. მაგრამ, არა, მორჩებოდა და თუ არა თავისს საქმეს, დაგერი მხიარული მოდიოდა სახლში და თვალები ისევ სიყვარულით უბრწყინავდა. იმას სასიქადულოდაც მიაჩნდა თავისი ლამაზი ცოლი, თეატრებში დაჰყავდა, თავისს მეგობრებს აცნობდა და ცოლიც-კი დააჯერა და გაგზავნა სადარბაზოდ რამდენსამე მათგანთან.

მირიამი ჯერ ჯერობით მხოლოდ საგანი იყო ცნობის მოყვარეობისა, მაგრამ პატიოსანის ქმრის სახელის წყალობით მალე სრული პატივისცემაც დაიმსახურა. საზოგადოებაც ასე ჰფიქრობდა, განა დამცველზე, ვექილზე, უკეთესად და დაწვრილებით ვინ უნდა იცოდეს ბრალდებულის გარემოებაო. ჯერ სასამართლოს მიერ გამართლებამ და შემდეგ თვით დამცველის მიერ შერთვამ ყოველივე ბრალი აჰხადა მარიამს და გატეხილი სახელი აღუდგინა. მისმა სილამაზემ ბევრს ქალს მოჰგვარა შური, მაგრამ მათი მომეტებული ნაწილი-კი უფრო მეგობრულად ეკიდებოდა. ამ გვარად გულის ჩქროლვამ გადაუარა მარიამს და სრული გამარჯვებული შეიქმნა.

ეხლა თავისი წარსული თავგადასავალი თითქმის გაადაავიწყდა და თუ მოაგონდებოდა, მხოლოდ ათაში ერთხელ, ისიც ბუნდად და უცნაურ სიზმარსავით; იმ გვარად გადასხვაფერდა და გამოიცვალა, რომ უწინდელის, ბოროტების ჩამდენს მარიამს, სრულიად აღარაფრითა ჰგავდა. ხან ის ფიქრიც-კი მისდიოდა, მე ხომ იმ საქმეში არა ვრეულვარო. ბოლოს სულაც არა სჯეროდა ის ამბავი, მხოლოდ საზმარი-ღა ეგონა. არა, ჭეშმარიტად ეს ქალი უდანაშაულო იყო. თუ რამ მოხდა, ამისით არა მომხდარა-რა.

პარიჟის აზვირთებულმა ცხოვრებამ მილამა მორისსეს მოწამვლის ამბავი და სრულიად გადაივიწყა. მარიამი თავის დაბადების დღეს დაგერთან ქორწინების დღეს ანგარიშობდა. იმის წინად გამოვლილი დღეები რაღაც სიზმრად, რაღაც თავგადავლებულ ავადმყოფობად მიაჩნდა და ეს გარემოება უფრო მეტად აფასებინებდა და აყვარებდა თავისს აწინდელს ყოფაცხოვრებას. სცხოვრობდნენ ერთად ცოლ-ქმარნი, უყვარდათ ერთმანეთი, იყვნენ თავიანთვის ბედნიერად და, მგონი, ველარაფერს ძალუძდა მათის მყუდროების დარღვევა.

ს. გძელიშვილი

(დასასრული იქნება)

უნდა ედევნოს, რომ სათესლე პური უთუოდ დასთესონ გლეხებმა.

**კოპენჰაგენი.** მათი იმპერატრებითი უდიდებულესობანი გუშინ დილის 9 საათსა და 40 წუთზე წაბრძანდა. 4 საათზე მიბრძანდნენ ვორნემიუნდეს და იქიდგან $5^1/_2$ საათზე როსტოკზე გაემგზავრნენ ბერლინისკენ. პრინცი ვოლდემარი თან მისდევს ხელმწიფის სახლობას რუსეთში.

**ბერლინი.** რუსეთის იმპერატორი სახლობითურთ აქ გუშინ საღამოს 9 საათსა და 38 წუთზე მობრძანდნენ. რკინის გზის სადგურზე მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ მიეგებნენ პრინცი ლეოპოლდი მეუღლითურთ და გენერლები განტკერვიტტიხი და შლიფფენი. მათი უდიდებულესობანი და პრინცები საიმპერატორო სასახლეში წაბრძანდნენ, სადაც ვახშამი იყო გამართული. ვახშმის დროს ხელმწიფე იმპერატორის მარჯვნივ ისხდნენ მეუღლე პრინც ლეოპოლდისა და შემდეგ მემკვიდრე ცესარევიჩი, ხოლო მარცხნივ ხელმწიფე იმპერატრიცა, პრინცი ლეოპოლდი და დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული. ვახშამს შემდეგ უავგუსტოეს სტუმართ მგზავრობა განაგრძეს.

**ბერლინი.** დიდის მთავრინას ალექსანდრა გიორგის ასული გარდაცვალების გამო დღეს დილით რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში გადახდილი იქმნა პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ წევრნი რუსეთის საელჩოსი, აქაური საბერძნეთის დესპანი, გერმანიის საიმპერატორო სახლეულობის წევრების მოადგილენი და სხვანი წარჩინებულნი. ქვრივ იმპერატრიცას მაგიერ ბარონი ვედელი იყო.

**პეტერბურგი.** 15 სექტემბერს. „Бир. Вѣд.“ იუწყება, შინაგან საქმეთა მინისტრს 8 მილიონი კიდევ მიეცა დამშეულ გუბერნიების მცხოვრებთა გამოსაკვებად და საზოგადო სამუშაოების დასაწყებადაო.

იგივე გაზეთი იუწყება, რომ მოუსავლიანს ადგილებში გაგზავნილ იქმნა გამგე შინაგან საქმეთა მინისტრის კანცელარიისა ალფერაკი იმის გამოსაკვლევად, თუ რამდენია საჭირო, რომ მთავრობამ ასესხოს გაჭირვებულ მცხოვრებთაო. ამ საგნის შესახებ ალფერაკი მოელაპარაკება გუბერნატორებსა და საერობო გამგეობათა სასურსათო კომისიებს.

**მოსკოვი.** განსვენებულის დიდის მთავრინას ალექსანდრა გიორგის ასულის გვამი განსვენებულისა და იმის მეუღლის სასტუმროს ოთახში ასვენია. თავთით უდგა ანალოღია სახარებით და ფეხთით ანალოღია ჯვრით. სახარებას რიგით კითხულობენ ადგილობრივ ეკკლესიის მღვდელნი. გვამთან მორიგეობენ ორო-ორი სამსახურის კაცი და ორო-ორი ფრეილინა. პანაშვიდს ესწრებიან ილშინსკში მყოფნი სახელმწიფო გვარეულობის კაცნი და მოსკოვიდგან მოსულნი წარჩინებულნი. საპატიო ყარაული ნეველის პოლკიდგან გამოიყვანეს დროშით. ხვალ გვამს მოსკოვში წაასვენებენ და შემდეგ იქიდგან პეტერბურგს.

15 სექტემბერს

**ლონდონი.** გიბრალტარიდამა და აფრიკის დასავლეთს ნაპირზე მდებარე კონცხ ჯულიდგან მოსული დეპეშები იუწყება, რომ იქაური მავრები აჯანყებულად და ინგლისის ახალშენებს ემუქრებიან თურმე. აჯანყების ადგილას გაგზავნილია ინგლისის ჯავშნიანში ხომალდი.

**ლონდონი.** გუშინ გადასწყვიტეს რომ ინგლისის ფლოტი გაიგზავნოს ჩინეთის ადგილებში.

პეტერბურგის ბირჟა, 13 სექტემბერი

| | მყიდველ. | გამყიდველ. | გარიგებ. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7^1/_2$ | 7, 53 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $149^1/_2$ | $150^1/_2$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 14 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 238 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 222 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . . . . | $209^3/_4$ | — ,, | 212 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“ 
## წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით ტომი I: ელგუჯა, ციკო და ელისო . . . . | 1 | 20 |
| ტომი II, მამის მკვლელი და განკიცხული. . . | 1 | 20 |
| ტომი III, მოძღვარი და ციცია . . . . . | 1 | 20 |
| საუნჯე, მ. ჯანაშვილისა. | „ | 20 |
| ცვარი სურათებიანი, საყმაწვილო წიგნი. . . . | „ | 30 |
| სიმრთელის კიდობანი (კარაბადინი) სულაქველიძისა. | 1 | „ |
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკონთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელის . . . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова . . . . . | 3 | „ |

---

# განცხადებანი


გრ. ჩარკვიანის

**სტამბასა და წიგნთ სავაჭროში**

(მისეილის ქუჩ. მედვედიევის სახლებში)

ისყიდება

ახლად გამოცემული წიგნები

**თამარ,** სპარსული ლეგენდა, თარგმანი ფრანგულიდან ქართულათ 10 კ.

**დემონი,** პოემა ლერმონტოვისა თარგ. მამია გურიელისა . . 15 კ.

(3—1)

კერძო ექიმი

## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პაპოვისა, ვარანცოვის ნომრების პირდაპირ. (10—3)


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რაცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმას კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


გამოვიდა და ისყიდება

„ქართველთა ამხანაგობის“

წიგნის მაღაზიაში:

პირველი სამი ტომი

# ა. ყაზბეგისა

(ა. მოჩხუბარიძისა)

თხზულებისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი

ფასი ცალკე თითო ტომისა — — — — — 1 მ. 20 კ.
მშვენიერის ყდით საუკეთესო ქაღალდზე თითო ტომი — 2 მ. 50 კ.
ხოლო სამივე ტომი ერთად — — — — — 7 მ. „

ამ ტომებში მოთავსებულია შემდეგი მოთხრობები: ელგუჯა, ციკო, ელისო, მამის-მკვლელი, განკითხული, მოძღვარი და ციცია, და სულ სამივე ტომი შეიცავს ერთად 1400 გვერდს.

წიგნები ისყიდება აგრეთვე „ქართველთა ამხანაგობის“ აგენტებთან: სოხუმში—ფილიპე ერქომაიშვილი, ბათომში—ბესარიონ კალანდაძე, ფოთში—კონსტანტინე ნოდია (წიგნის მაღაზია), ოზურგეთში—კონსტ. თავართქილაძე და მამინაიშვილი (წიგნის მაღაზია), ქუთაისში—ძმ. წერეთლები (წიგნის მაღაზია), დ. ზესტაფონში—იოს. კაკაბაძე, მარტყოფში—ილია ჭიჭინაძე, ზუგდიდში—ანდრ. შაფათავა, სამტრედიაში—იოს. ფანცულაია, ახალციხეში—ნიკ. ასათიანი, გორში არს. კალანდაძე (წიგნის მაღაზია), განჯაში—იაკ. ნოდია, თელავში—მიხ. ცისკარაშვილი, სამტრედიაში—გოდერძიშვილი და სიღნაღში—ნიკ. იოსელიანი. (0—4)